

სახელმძღვანელო დოკუმენტი # 1 ეფექტიანი რეკომენდაციების ჩამოყალიბება

შექმნის დღიდან (1977 წელი) წამების საწინააღმდეგო ასოციაცია (APT) ახორციელებს დაკავების რეგულარულ და დამოუკიდებელ მონიტორინგს როგორც წამების, არაადამიანური მოპყრობის და ადამიანის უფლებათა სხვაგვარად დარღვევის თავიდან აცილების ეფექტიან საშუალებას. სახელმძღვანელო დოკუმენტების წინამდებარე სერია ხელმისაწვდომს ხდის წამების საწინააღმდეგო ასოციაციის ნოვატორულ კვლევებსა და ანალიზს და ჩვენი პარტნიორების საუკეთესო პრაქტიკას პრაქტიკოსებისთვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე მთელს მსოფლიოში.

საკუთარი აზრი, შენიშვნები და წინადადებები ზემოხსენებული დოკუმენტების შინაარსთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოგზავნოთ მისამართზე apt@apt.ch

2008 წლის ნოემბერი

ეფექტიანი რეკომენდაციების ჩამოყალიბება

1. შესავალი

ანგარიშის და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას სათანადო ცოდნა სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავიდან მარტივად აღქმული ამოცანა ხშირად რთული აღმოჩნდება ხოლმე, პრაქტიკული ხელმძღვანელობა ხშირად სასარგებლოა და გამოცდილ მონიტორებსა და დოკუმენტების შემდგენლებსაც კი შეუძლიათ სარგებლობა და საკუთარი პრაქტიკის გადახედვა სპეციალური სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი შექმნილია იმისათვის, რომ იგი წაიკითხოს და გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც აყალიბებს რეკომენდაციებს როგორც დაკავების მონიტორინგის ციკლის ნაწილს. განსაკუთრებით სასარგებლოა მისი გამოყენება კოლექტიური და ინდივიდუალური ანალიზისა და რეკომენდაციების გამოქვეყნებამდე მათი წინასწარი ვერსიის გადახედვის საფუძვლად.

მაშინა, როცა რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული და ლინგვისტური კონტექსტი ზეგავლენას მოახდენს იმაზე, თუ როგორი ფორმულირებით ჩამოყალიბდება რეკომენდაციებია, ქვემოთ წარმოდგენილი **Double-SMART** მოდელი ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა გამოყენება სისტემატურად შეიძლება იმისათვის, რომ რეკომენდაციები იყოს რაც შეიძლება ეფექტიანი და სასარგებლო.

2. რეკომენდაციების მიზნები

რეკომენდაციების შექმნა მონიტორინგის ციკლის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. მათი ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი დროის დათმობა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზით:

- რეკომენდაციების გარეშე ანგარიშს აკლდება ცვლილებების განხორციელების შანსები;
- რეკომენდაციები ხშირად წარმოადგენს დაკავების მონიტორინგის შესახებ ანგარიშების იმ ნაწილს, რომელსაც ყველაზე ყურადღებით კითხულობენ;
- რეკომენდაციები წარმოადგენს მონიტორინგის ორგანოს მიერ ჩატარებული მრავალმხრივი საექსპერტო ანალიზის შედეგს;
- ისინი განსაზღვრავენ და პრიორიტეტულობის მიხედვით ალაგებენ ისეთ ქმედებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის გაზრდისთვის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სიტუაციებში;

- მათ კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულონ სახელმწიფოს პრობლემის გადაჭრაში და სტრუქტურული ჩარხის უზრუნველყოფაში ხელისუფლებასთან დიალოგისთვის;
- მათ უნდა ჩამოაყალიბონ საფუძველი პერიოდული შეფასებისთვის და შემდგომი ქმედებისთვის როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოებისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის.

3. **Double-SMART** რეკომენდაციების მოდელი

დაკავების მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაციების ხარისხი და სარგებლიანობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთგამაძლიერებელი კრიტერიუმების მიხედვით:

- კონკრეტული
- გაზომვადი
- მიღწევადი
- შედეგებზე ორიენტირებული
- დროსთან დაკავშირებული
- +
- გადაჭრის გზის მაჩვენებელი
- მიმართული პრიორიტეტების დასახვის, თანმიმდევრულობის და რისკების გათვალისწინებისკენ
- არგუმენტირებული
- მიზეზ-შედეგობრიობაზე დაფუძნებული
- მიზნობრივი

4. თითოეული კრიტერიუმის განხილვა

ქვემოთ გაანალიზებულია თითოეული კრიტერიუმი, მას მოჰყვება საკონტროლო კითხვები და მოსაზრებები, როგორც სახელმძღვანელო მითითებები მათთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის. მოსალოდნელია, რომ **Double-SMART**-ის კრიტერიუმების მიხედვით რეკომენდაციების განხილვისას მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტონ, რომ ისინი ვალდებული არიან, გადახედონ თავისი ანგარიშების შინაარსს. ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს მონიტორინგის მთლიანი პროცესის თანმიმდევრულობას. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციები ვერ დააკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, შესაბამისობის მაქსიმუმამდე აყვანა უფრო გააძლიერებს მათ.

კონკრეტული

ყოველი რეკომენდაცია უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს. თითოეულ მათგანს შეუძლია ერთი ან მეტი კონკრეტული ქმედების შემოთავაზება, თუმცა ისინი მკაფიოდ უნდა გამოიყოს ერთმანეთისგან რაიმე აღნიშვნის ან ციფრის საშუალებით. ეს დაეხმარება ხელისუფლებას რეკომენდაციების გაგებასა და განხორციელებაში და, ასევე, ხელს შეუწყობს მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციას შემდგომი ქმედებების შესრულებაში. ზოგადი განცხადება, რომელიც ახსენებს ხელისუფლებას მის ვალდებულებას, მოიყვანონ დაკავების პირობები შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და მიანიჭონ თავისუფლებაადკვეთილ ადამიანებს მათი უფლებების დაცვის გარანტია, შეიძლება ჩართული იქნეს შესავალ ნაწილში, რომელიც წინ უსწრებს რეკომენდაციებს.

საკონტროლო კითხვები

- მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრობლემას ან საკითხს ეხება თუ არა რეკომენდაცია?
- მკაფიოდ არის თუ არა დიფერენცირებული ინდივიდუალური ქმედების პუნქტები რეკომენდაციაში?
- უშუალოდ უკავშირდება თუ არა რეკომენდაციის თემას შემოთავაზებული ქმედებები?

გაზომვადი

მომავალში ხელისუფლებასა და მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციას (ორგანიზაციებს) მკაფიოდ უნდა შეეძლოს შეფასება, იქნა თუ არა ან რა ზომამდე იქნა განხორციელებული რეკომენდაცია. რეკომენდაცია ისე უნდა იქნეს აგებული, რომ აღნიშნულის შეფასება რაც შეიძლება მარტივად ხდებოდეს. როგორც ასეთი, ანგარიში, რომელიც ახლავს რეკომენდაციებს, უნდა აღგენდეს პრობლემის არსებულ დონეს, განსაზღვრავდეს საწყის მონაცემებს ან მოკლე დახასიათებას მომავალი შედარებისთვის, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება. ყურადღება უნდა დაეთმოს პროცესის ან შედეგის და რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებს.

საკონტროლო კითხვები

- მკაფიოდაა თუ არა დადგენილი არსებული სიტუაცია ანგარიშის ძირითად ნაწილში?
- შეიცავს თუ არა ანგარიში ან რეკომენდაცია ინდიკატორს შემდგომი ქმედებისთვის?
- უფრო მარტივი იქნებოდა თუ არა სხვა ან შეცვლილი ინდიკატორის შემოწმება მომავალში?
- რა ზომამდე იქნება ინდიკატორის მიერ მოცემული მტკიცებულება უტყუარი?

მიღწევადი

შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი რეკომენდაციის შესრულება. მიუხედავად ამისა, მოცემული კრიტერიუმები არ განიხილავს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხს. ვინაიდან ისინი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს, რეკომენდაციები უნდა განმარტავდეს, რისი გაკეთება შეიძლება მიზეზთან დაკავშირებით. ამის გაკეთებისთვის რესურსების გამოძებნა კი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. განხილული უნდა იქნეს ალტერნატიული ან დამატებითი ქმედებები, რომლებსაც შეუძლია სასურველი შედეგების უფრო ადვილად მოტანა ან მიღებული შედეგების განმტკიცება.

საკონტროლო კითხვები

- შესაძლებელია თუ არა მოცემული რეკომენდაციის პრაქტიკულად განხორციელება?
- არსებობს თუ არა რაიმე ალტერნატიული ან დამატებითი ქმედებები, რომელთა რეკომენდაცია შესაძლებელი იქნებოდა?
- რომელ ვარიანტს შეხვდებოდა ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობა მოცემულ სიტუაციაში?

შედეგებზე ორიენტირებული

პრობლემის აღწერა და ანალიზი მოქცეული უნდა იყოს ანგარიშის მთავარ ნაწილში და არა რეკომენდაციებში. რეკომენდაციებში შემოთავაზებულ წინადადებებს უნდა მივყავდეთ კონკრეტული შედეგებამდე ან საქმის კონკრეტულ მდგომარეობამდე. ეს სასურველი სიტუაცია შეიძლება იგულისხმებოდეს რეკომენდაციაში ან კონკრეტულად იყოს განსაზღვრული.

საკონტროლო კითხვები

- შეიცავს თუ არა რეკომენდაცია ისეთ გარკვეულ ინფორმაციას ან ანალიზს, რომელიც მოცემული უნდა იყოს ანგარიშის ძირითად ნაწილში?
- აღგენს თუ არა რეკომენდაცია საქმის სასურველ მდგომარეობას მომავლისთვის და/ან კონკრეტულ ქმედებებს ამ მიზნით, თუ იგი უბრალოდ აღწერს პრობლემას და მოუწოდებს ცვლილებებისკენ?

დროსთან დაკავშირებული

განხორციელებისთვის რეალისტური ვადის ჩართვა ხელს უწყობს ხელისუფლებას რეაგირებისას პრიორიტეტების დადგენაში, აჩქარებს ქმედებას და ზრდის ანგარიშგაღებულებას. ვადები შეიძლება განისაზღვროს თვეებით ან წლებით ან მოითხოვებოდეს „დაუყოვნებელი“ შესრულება. ალტერნატიულად, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი ჩარჩო, თუმცა გარკვეული უნდა იქნეს, თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი დროის საზომი ერთეულებით.

საკონტროლო კითხვები

- ადგენს თუ არა რეკომენდაცია განხორციელების დაწყების და/ან დასრულების ვადას?
- არის თუ არა მოცემული ვადა საკმარისად ხანმოკლე ცვლილებების დაჩქარებისთვის, მაგრამ თან საკმარისად გრძელი განხორციელების ვადის მოთხოვნების გათვალისწინებისთვის?

გადაჭრის გზის მაჩვენებელი

რეკომენდაციები, რომლებიც უბრალოდ მოუწოდებს „ცვლილებებისკენ“ ან „გაუმჯობესებისკენ“, მოითხოვს შემდგომ შესწავლას ხელისუფლების მხრიდან პრობლემის გადაჭრის, რომ არაფერი ვთქვათ განხორციელების, გზის დადგენამდე. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს კონკრეტული შედეგების მიღწევის სტრატეგიულ შესაძლებლობებს. მონიტორინგის მრავალდისციპლინური გუნდი იყენებს მისი წევრების პროფესიულ, ანალიტიკურ და სხვა გამოცდილებას თავისუფლების აღკვეთის საკითხებში და მათ ყველადახრიან უნდა ეცადონ, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება, არა უბრალოდ დაადგინონ პრობლემა, არამედ ჩამოაყალიბონ სანდო გადაწყვეტილება. რეკომენდებული ქმედებები უნდა იყოს კონკრეტული და მოკლე, მაგრამ შეიცავდეს შესაბამის ტექნიკურ დეტალებს არასწორი განხორციელების თავიდან აცილების მიზნით.

საკონტროლო კითხვები

- განისაზღვრა თუ არა ანალიზით ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის პრობლემების დაძლევა?
- ჩართულია თუ არა ისინი რეკომენდაციაში?
- საჭიროა თუ არა ტექნიკური ელემენტების ან სიტყვათა წყობის შეცვლა არასწორი გაგების ან არასწორი განხორციელების თავიდან აცილების მიზნით?

მიმართული პრიორიტეტების დასახვის, თანმიმდევრულობის და რისკების გათვალისწინებისკენ

მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ მრავალი ისეთი საკითხის დადგენა, რომლებიც მოქმედებას მოითხოვს. ვინაიდან პრევენციული მონიტორინგი უწყვეტი პროცესია, ნაკლებად სასწრაფო რეკომენდაციების გადადება შეიძლება უკეთესი აღმოჩნდეს, ვინაიდან ეს მისცემს ხელისუფლებას მეტი ყურადღების უფრო სასწრაფო პრობლემებზე კონცენტრირების საშუალებას. გარდა ამისა, ზოგიერთი რეკომენდაცია შეიძლება უფრო წარმატებული აღმოჩნდეს მოგვიანებით შედგენილი ანგარიშებისთვის. უფრო მეტიც, მონიტორინგმა ასევე უნდა გააანალიზონ რისკი, რომელიც შეიძლება წარმოშვას განხორციელებამ უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით დაკავებული და სხვა პირების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის საქმეში. განხორციელების გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები გამოიწვევს როგორც პრევენციული მონიტორინგის, ასევე განმახორციელებელი ორგანიზაციის დისკრედიტაციას.

საკონტროლო კითხვები

- არის თუ არა ანგარიშში ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც პირველ რიგში უნდა შესრულდეს?
- უკეთესი იქნება თუ არა ზოგიერთი რეკომენდაციისთვის ნაკლები ყურადღების დათმობა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ შეძლოს უფრო სასწრაფო პრობლემებზე კონცენტრირება?
- დამოკიდებულია თუ არა ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულება პირველ რიგში სხვების შესრულებაზე?
- შეეძლო თუ არა რომელიმე კონკრეტული ქმედების განხორციელებას უარყოფითი შეგავლენის მოხდენა ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე?

არგუმენტირებული

რეკომენდაციები უნდა ეფუძნებოდეს მაღალი ხარისხის ობიექტურ მტკიცებულებებს და ანალიზს, რომელიც შეგროვილი იქნება მონიტორინგის ციკლის განმავლობაში და სისტემატიზებული ანგარიშის ძირითად ნაწილში. მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი და გამოყენებული შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი სტანდარტები, პროფესიული გამოცდილება (მაგალითად, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, დაკავების მართვა, სოციალური სამუშაო და ა.შ.) და ის საუკეთესო პრაქტიკა, რომლებიც გამოყენებული იქნება ანგარიშში. ამგვარი არგუმენტაცია ზრდის სანდოობას და ეხმარება მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებს საკუთარი პოზიციის განსაზღვრაში. უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტებს და მათი გადაჭარბება დაშვებულია რეკომენდაციებში, თუ მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია ჩათვლის ამას დასაბუთებულად, გამომდინარე ადამიანის უფლებათა დაცვიდან, პროფესიული, საუკეთესო პრაქტიკის ან სხვაგვარი საფუძვლების გათვალისწინებით.

საკონტროლო კითხვები

- არის თუ არა რეკომენდაციასთან დაკავშირებული პრობლემა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანგარიშის ძირითად ნაწილში?
- ეფუძნება თუ არა ანალიზი ობიექტურ, შემოწმებულ და ხარისხიან მტკიცებულებებს?

- ადგენს თუ არა ანალიზი რეკომენდაციისთვის შესაბამის დასაბუთებას სამართლებრივი, პროფესული და საუკეთესო პრაქტიკის თვალსაზრისით?
- მიფყავართ თუ არა ანალიზს ლოგიკურად და სარწმუნოდ მასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან?

მიზეზ-შედეგობრიობაზე დაფუძნებული

მონიტორინგი უნდა ცდილობდეს იმ პრობლემის, სისტემების და პროცესების მიზეზისა და შედეგის გამოკვლევას, რომლებიც შემოღებული უნდა იქნეს ან შეიცვალოს რისკის ფაქტორების შემცირების მიზნით. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციები მიმართული უნდა იყოს აღნიშნული ასპექტებისკენ და არა სიმპტომებისკენ. ეს გულისხმობს ფაქტების გულდასმით შემოწმებას და კრიტიკულ ანალიზს. როცა შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრიობის ან რისკის შემცირების ფაქტორების დადგენა, საჭიროა ისეთი თანდათანობითი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს გაუმჯობესებას და შემდგომ ანალიზს, შემოთავაზებულს ანგარიშებში.

საკონტროლო კითხვები

- ჩანს თუ არა ანგარიშის ძირითად ნაწილში პრობლემის სიმპტომები (ანუ მტკიცებულებები)?
- ადგენს თუ არა ანალიზი მიზეზს?
- მიმართულია თუ არა რეკომენდაციაში შემოთავაზებული ქმედება უშუალოდ მიზეზის, და არა მისი სიმპტომის, აღმოფხვრისკენ?
- თუ მიზეზ-შედეგობრიობა არ არის დადგენილი, შეიძლება თუ არა თანდათანობითი მიდგომის გამოყენება?

მიზნობრივი

„ხელისუფლება“ და „სახელმწიფო“ არ უნდა განიხილებოდეს ერთ მონოლითურ ერთეულად. სწორად უნდა დადგინდეს ის კონკრეტული მოქმედი პირები/დაწესებულებები, რომლებსაც იურიდიულად და პრაქტიკულად შეუძლიათ რეკომენდაციების განხორციელება. ეს დაეხმარება ხელისუფლებას პასუხისმგებლობების დელეგირებაში, ანგარიშვალდებულების გაზრდაში და ხელს შეუწყობს მონიტორინგის განმანორციელებელ ორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას შემდგომი ქმედებების დაგეგმვაში. მიუხედავად ამისა, მონიტორები უნდა იცნობდნენ ინსტიტუციურ პროტოკოლს და უზრუნველყოფდნენ, რომ იერარქია სათანადოდ იქნეს დაცული როგორც რეკომენდაციებში, ასევე ანგარიშების წარმოდგენისას. ზოგიერთ ანგარიშში რეკომენდაციები დაჯგუფებულია მიზნობრივი სექტორების მიხედვით (მაგალითად, სასამართლო, სასჯელაღსრულების სისტემა, შინაგან საქმეთა სამინისტრო).

საკონტროლო კითხვები

- ორგანიზაციული იერარქიის რომელი კონკრეტული მოქმედი პირ(ებ)ი შეძლებს რეკომენდაციის პრაქტიკულად განხორციელებას?
- არის თუ არა მაღალ დონეზე ორგანო, რომელმაც უნდა გასცეს უფლება, ნებართვა, ბრძანება მოქმედების დაწყებისთვის ან შეუძლია დახმარების გაწევა განხორციელებისას?
- რომელი განმახორციელებელი მოქმედი პირი ან მისი ორგანო უნდა იქნეს მკაფიოდ დაკავშირებული რეკომენდაციასთან სტრატეგიული თვალსაზრისით?
- გაზრდიდა თუ შეამცირებდა რეკომენდაციების მიზნობრიობის მიხედვით დაჯგუფება მათ ზემოქმედებას?

5. **Double-SMART**-ის გამოყენება პრაქტიკაში

განიხილეთ შემდეგი ოთხი კითხვა ქვემოთ მოყვანილი წინასწარი რეკომენდაციების სამი ჯგუფთან დაკავშირებით:

1. **Double-SMART**-ის რომელი კატეგორია არ არის დაკმაყოფილებული პირველი ვერსიის თითოეულ წყვილში?
2. რომელი კრიტერიუმი იქნა გამოყენებული მეორე ვერსიის შედგენისას?
3. რომელი კრიტერიუმი არ იქნა გამოყენებული და რატომ?
4. კიდევ როგორ შეიძლება რეკომენდაციის გაუმჯობესება?

მაგალითი 1

- ✓ ერთი თვის მანძილზე სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა უნდა განიხილოს არასრულწლოვანების დაუცველობა ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფისგან დაკავების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას ღამის საათებში ან გრძელ მანძილებზე ტრანსპორტირებისას, რაც საჭიროა ხოლმე სასამართლოში ან სასამართლოდან ან რეაბილიტაციის ერთი ცენტრიდან მეორეში მათი გადაყვანისას.
- ✓ იუსტიციის მინისტრმა, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა, სასჯელაღსრულების სისტემის დირექტორმა და პოლიციის უფროსმა მომავალი წლის განმავლობაში უნდა ჩამოაყალიბონ სტრატეგიული და საოპერაციო პოლიტიკა არასრულწლოვანების ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანასთან დაკავშირებით, რათა გარანტირებული იქნეს, რომ:
 - არასრულწლოვანების ტრანსპორტირება არ მოხდება ზრდასრულ ადამიანებთან ერთად;
 - სულ მცირე, ერთი ქალი ოფიცერი ყოველთვის მიიღებს მონაწილეობას არასრულწლოვანი გოგონების ტრანსპორტირებისას;
 - საკმარისი ყურადღება იქნეს დათმობილი საკვების, წყლის და ბუნებრივი საჭიროებებისთვის ოთხ საათზე მეტი ხანგრძლივობის მგზავრობისას;
 - ყველა არასრულწლოვანს შეეძლოს ექიმის ან ექთნის დახმარების მიღება დანიშნულების ადგილზე მისვლისას;
 - სრულად იყოს შევსებული არასრულწლოვანების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

მაგალითი 2

- ✓ ხელისუფლების მიერ უნდა შემცირდეს ძალის გადამეტებული გამოყენება დაკავების ადგილებში.
- ✓ თითოეული ციხის დირექტორმა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა უზრუნველყოს, რომ თანამშრომლების მიერ ძალის გამოყენების თითოეული შემთხვევა იწერებოდეს სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული იმ თანამშრომლის ვინაობა, რომელსაც შეაქვს ჟურნალში ჩანაწერები; ინციდენტის თარიღი და დრო; ინციდენტში მონაწილე და ინციდენტის დამსწრე თანამშრომლების ვინაობა და თანამდებობა; ინციდენტთან დაკავშირებული დაკავებულების ვინაობა; ინციდენტის დეტალური აღწერა, მათ შორის ძალის გამოყენების მიზეზი; ინციდენტის დროს გამოყენებული საგნები და იმ ზედამხედველი ოფიცრის ხელმოწერა, რომელმაც განიხილა ინციდენტი.

მაგალითი 3

- ✓ პაციენტების დასამშვიდებლად მათთვის ფსიქოტროპული ნივთიერებების თვითნებურად მიცემის შემცირება.
- ✓ თორმეტი თვის განმავლობაში საავადმყოფოს ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ანტი-ფსიქოტური ნივთიერებების გამოყენება შესაბამისი სამედიცინო, ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების მიხედვით შემდეგი გზით:
 - შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნა მათ მოხმარებასთან დაკავშირებით;
 - მათი გამოყენება მხოლოდ კვალიფიციური და საგანგებოდ ამისთვის დანიშნული სამედიცინო პერსონალის მიერ;
 - გადასინჯვის რეგულარული და მრავალმხრივი სისტემის დანერგვით.

6. დასკვნა

რეკომენდაციები უნდა იძლეოდეს იმ კონკრეტულ გზებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება დაკავების ადგილებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირება. ისინი ასევე მიზნად უნდა ისახავდეს, რომ რაც შეიძლება უდავო იყოს ყველასთვის, ვინც მათ გამოიყენებს. **Double-SMART** მოდელი უზრუნველყოფს შესაფერის ჩარჩოს, რომლის დახმარებითაც კრიტიკულად შეფასდება, აკმაყოფილებს თუ არა რეკომენდაციების წინასწარი ვარიანტები აღნიშნულ მიზნებს.

მას შემდეგ, რაც რეკომენდაციები მიიღებს საბოლოო სახეს, მონიტორინგის განმახორციელებელმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა ანგარიშისა და შემდგომი ქმედებებისთვის დაგეგმილი სტრატეგიის შესწორება. დაკავების შესახებ მონიტორინგის ანგარიშის და მისი რეკომენდაციების განხორციელება შემდეგი მნიშვნელოვანი გამოცდაა დაკავების მონიტორინგის ციკლში.

წამების საწინააღმდეგო ასოციაცია - APT

რიუ დე ფერნი №10, საფოსტო ინდექსი: 2267-1211 ქუჩევა 2, შვეიცარია

ტელ.: (+41 22) 919 2170 ფაქსი: (+41 22) 919 2180

ელ. ფოსტა: apt@apt.ch ინტერნეტი: www.apt.ch